



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის  
შესახებ

საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამა,  
საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) ინგლისურენოვანი  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

2025 წლის 15-16 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2026 წლის 04 თებერვალი

თბილისი

## Contents

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა .....	6
III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი.....	9
IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან .....	13
1. 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	13
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	27
3.სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .....	44
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	52
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	68

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	საავიაციო
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328	
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი	

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, შპს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ჯაფარიძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ თხელიძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი)	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი)						
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Aircraft Flight Exploitation (Pilot)	Aircraft Flight Exploitation (Pilot)						
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი						
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი	საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი						
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1041 ტრანსპორტის მომსახურებები	1041 ტრანსპორტის მომსახურებები						

ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	არ ეხება	არ ეხება						
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური						
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240						
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	არაკრედიტებუ ლი						

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიზანია გადასცეს კურსდამთავრებულებს საჭირო ხომალდების სტრუქტურების, საავიაციო ძრავების, ფუნქციური სისტემების, ავიონიკის, ელექტრო და ნავიგაციის სისტემების ცოდნა და გამოუმუშავოს აღნიშნული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. სტუდენტების მიერ პროგრამების ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული მომზადება დასტურდება ეროვნული საავიაციო ორგანოს მიერ გაცემული პილოტის ლიცენზიით, რომელიც აღიარებულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ.

პილოტის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა პირველად შემუშავდა 1992 წელს. ეტაპობრივად, პროგრამა განახლდა და რამდენჯერმე შეიცვალა მისი სახელწოდება და შინაარსი. პროგრამის განახლებები ძირითადად განპირობებული იყო ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებებით, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ გაცემული რეკომენდაციებით. ბოლო ცვლილებები ეხებოდა ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესებას (ქართულენოვან პროგრამაში). ორივე პროგრამაში გაიზარდა არჩევითი კომპონენტების მოცულობა და პროფესიაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების საკონტაქტო საათები.

ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილია პროგრამებში 80 სტუდენტის მიღება, რაც ასევე ასახულია განსაზღვრულ ბიუჯეტში. აკადემიური პერსონალის რაოდენობა განსხვავდება პროგრამების მიხედვით. ქართულენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 აკადემიური და 27 მოწვეული პერსონალი (ჯამში 42), ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში 13 აკადემიური და 23 მოწვეული პერსონალი (ჯამში 36).

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შეფასების პროცესი დაიწყო ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ შეხვედრის ორგანიზებით, რომლის ფარგლებშიც ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია შეფასების პროცედურის შესახებ და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. თვითშეფასების ანგარიში მოიცავდა ძირითად ინფორმაციას. ზოგიერთ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები. ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდულ რეჟიმში. 2025 წლის 15 დეკემბერს შეხვედრები ჩატარდა ონლაინ, ხოლო 2025 წლის 16 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ობიექტები. ვიზიტი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინატორების, ისე უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მიერ. ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შეესწავლა წარმოდგენილი მასალები, ჩატარებინა გასაუბრებები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამებთან დაკავშირებულ გარე დაინტერესებულ მხარეებთან და დაეთვალიერებინათ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ობიექტები. აღნიშნულმა ექსპერტთა ჯგუფს შეუქმნა სრული წარმოდგენა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების და ზოგადად დაწესებულების შესაძლებლობების შესახებ.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

კლასტერში წარმოდგენილი ორივე პროგრამა შესაბამისობაშია თითოეულ სტანდარტთან და აკმაყოფილებს კომპონენტების უმეტესი ნაწილის მოთხოვნებს (გამონაკლისია 2.3 კომპონენტი, რომელიც ორივე პროგრამასთან მიმართებით შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია).

- რეკომენდაციები

რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გადახედვა. უმეტეს შემთხვევებში სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურის სათაურები არ არის სრულად მითითებული.

- რჩევები

სასურველია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს ახალი გაცვლითი პროგრამების გამოვლენას და აღნიშნულ პროგრამებში გააძლიეროს სტუდენტების ჩართულობა.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

**პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები** - კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა ოდნავ განსხვავდება პროგრამების მიხედვით. ქართულენოვანი პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 42 აკადემიური პერსონალის წევრი (15 აკადემიური და 27 მოწვეული), ხოლო ინგლისურენოვან პროგრამას ახორციელებს 36 აკადემიური პერსონალის წევრი (13 აკადემიური და 23 მოწვეული).

ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები - უნივერსიტეტი გეგმავს 80 სტუდენტის მიღებას. სწავლის საფასური ოდნავ განსხვავებულია. ქართულენოვანი პროგრამის სრული ციკლის საფასური შეადგენს 42 000 ლარს, ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამის 52 000 ლარს.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

არ ეხება

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

[სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები \(იხ. ლინკი\):](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[მალესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი](#)

[აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა შეფასების კრიტერიუმები](#)

**განმარტებები:**

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის პროგრამების კლასტერის შეფასების მიდგომები:**

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

**შეფასების მიდგომები:**

კლასტერული შეფასება: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.

ინდივიდუალური შეფასება: საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. პროგრამის ინდივიდუალური შეფასება მნიშვნელოვანია განხორციელდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გაიცემა - რეკომენდაცია ან/და რჩევა.

### III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოჯამებული ცხრილი

№	დასახელება / სტანდარტი	პროგრამა 1	პროგრამა 2
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

	<b>შეფასების ადეკვატურობა</b>		
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
<b>3.</b>	<b>სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება	არ ეხება

<b>4</b>	<b>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	არ ეხება	არ ეხება
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
<b>5</b>	<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

## IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან / და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და / ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ - ს / ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი / შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

## კლასტერული შეფასება

### აღწერა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პროგრამების მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა, თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზრის მოთხოვნები და ასახულია საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. პროგრამების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება აერონავტიკის ინჟინერიის დარგის მოთხოვნებს და საზოგადოების ფართო განვითარებას.

საჭიერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) საბაკალავრო პროგრამები შემუშავებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების და მოქმედი საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად.

ასევე, პროგრამების მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას.

პროგრამების მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღნიშნული მიზნები გაზიარებული და ოფიციალურად შეთანხმებულია დაინტერესებულ მხარეებს, ინდუსტრიის წარმომადგენლებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შორის.

ინტერვიუების და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამების მომზადება და მათი სწავლის შედეგების მიღწევა წარმოადგენს თანამშრომლობით პროცესს. აღნიშნული პროცესი მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამების განმახორციელებლების აქტიურ მონაწილეობას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისია: <https://ssu.edu.ge/mission-vision-values/>
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ევროპული საჭიერო უსაფრთხოების სააგენტოს დოკუმენტი 1178
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი: <https://ssu.edu.ge/>;
- ინტერვიუების შედეგები.

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	<b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	<b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
<b>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები:</b>	<b>არ ეხება</b>	<b>არ ეხება</b>
<b>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</b>	<b>არ ეხება</b>	<b>არ ეხება</b>
<b>პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</b>	<b>არ ეხება</b>	<b>არ ეხება</b>

**შეფასება<sup>1</sup>**

<b>კომპონენტი</b> <b>1.1 პროგრამის მიზნები</b>	<b>შეფასება</b>
<b>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</b>	<b>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b>
<b>პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო</b>	<b>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b>

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	
--	--

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო - კვლევითი/ შემოქმედებით-კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული / თეორიული ღირებულების მქონე.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**კლასტერული შეფასება**

პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების მიზნებს და მოიცავს პროგრამების შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა / ავტონომიურობას.

საკაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის N69 / ნ ბრძანებით - „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.

პროგრამის მიზნებში განსაზღვრულია გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს.

სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია შესაბამისობის რუქა. აღნიშნული რუქა მოიცავს პროგრამის რვა სწავლის შედეგს, მათ მისაღწევად საჭირო სასწავლო კურსებს და მიღწევის მოსალოდნელ დონეს.

სტუდენტების სწავლა ფასდება აკადემიური მოსწრების ანალიზით. ეს ანალიზი ითვალისწინებს გამოკითხვებს და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას. სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა სტუდენტებს აფასებს მათ მიერ მიღებული ქულების მიხედვით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუქა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- ინტერვიუების შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები:</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>
<p>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</p>	<p>არ ეხება</p>	<p>არ ეხება</p>
<p>პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების</p>	<p>არ ეხება</p>	<p>არ ეხება</p>

საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)		
--	--	--

## შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შეფასება
პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

**კლასტერული შეფასება**  
აღწერა და ანალიზი

ხორციელდება პროგრამების სწავლის შედეგების პერიოდული, თანმიმდევრული და გამჭვირვალე შეფასება. უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგების კომპონენტის შეფასების მექანიზმთან. შესაბამისი დოკუმენტებით და ინტერვიუებით დადასტურდა პროგრამების სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების სტრუქტურირებული და გამჭვირვალე პროცედურების არსებობა, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, დამსაქმებლების გამოკითხვებს და ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ დამატებით შეფასებებს.

მექანიზმი მოიცავს დარგის შესაბამის პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს, როგორცაა გამოცდები, ინტერვიუები, პრეზენტაციები, სტუდენტების გამოკითხვები, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და პროგრამის ანალიზი.

უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. დამსაქმებლების სისტემატური გამოკითხვები გამოყენებულია, როგორც გარე შეფასების ინსტრუმენტი. მექანიზმი აკმაყოფილებს სამიზნე ნიშნულების დადგენის მოთხოვნას, მოიცავს დეტალურ ცხრილებს, სადაც ასახულია დაგეგმილი და ფაქტობრივი ინდიკატორები, ნორმალური განაწილების მიზნები და გადახრის ზღვრები, რაც წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საფუძველს. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ცოტა ხნის წინ გადახედა 20 - 30% - იანი გადახრის ზღვარს და შეამცირა 5 - 7% - მდე, რაც აჩვენებს კარგად განვითარებულ მონიტორინგის სისტემას.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი მომზადებულია და იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- ინტერვიუების შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები:</p>	<p>არ ეხება</p>	<p>არ ეხება</p>
<p>პროგრამა 1 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</p>	<p>არ ეხება</p>	<p>არ ეხება</p>
<p>პროგრამა 2 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</p>	<p>არ ეხება</p>	<p>არ ეხება</p>

**შეფასება**

<p><b>კომპონენტი</b> <b>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</b></p>	<p><b>შეფასება</b></p>
<p>პროგრამა 1 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</p>	<p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>პროგრამა 2 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო</p>	<p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	
--	--

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამა შედგენილია უსდ - ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები:**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ -ში სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების /სფეროს, სახელმწიფოს ან / და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან / და სფეროს აქტუალურ საკითხებზე / ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა, მაგალითად: კვლევითი - სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი / საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა,

ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;

- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევო თემის შერჩევას, შეცვლას, სამეცნიერო კვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს / სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევო თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ-ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროგრამის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ინდუსტრიის პარტნიორები. ინტერვიუების და გამოკითხვების ანალიზის შედეგების საფუძველზე გათვალისწინებული იქნა მათი მოსაზრებები და საჭიროებები. ტარდებოდა პერიოდული შეხვედრები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამაში ასახული ყოფილიყო როგორც აკადემიური, ისე პროფესიული მოთხოვნები.

პროგრამების სავალდებულო და არჩევითი კურსები ავითარებენ ცოდნას და უნარებს შემდეგ სფეროებში:

- მრავალფეროვანი მეტეოროლოგიური გარემოს შეფასება და ანალიზი;
- საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკების და საფრთხეების გამოვლენა და შეფასება;
- საჰაერო ხომალდის ფრენის მახასიათებლების ადაპტაცია ფრენის დროს წნევის ცვალებადობაზე;

- შესაბამისი ქმედებების განხორციელება საჰაერო ხომალდის სისტემების გაუმართაობის შემთხვევაში;
- ნავიგაციის გაუმართაობის შემთხვევაში საჰაერო ხომალდის კონტროლი ვიზუალური ფრენის რუკების გამოყენებით.

#### ქართულენოვანი პროგრამის

1. ძირითადი სწავლის სფეროს კურსები: 195 კრედიტი, მათ შორის 13 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებისთვის.
2. თავისუფალი არჩევითი კურსები: 45 კრედიტი, თავისუფალი სავალდებულო კრედიტები - 37 და 8 კრედიტი არჩევითი კურსები.

#### ინგლისურენოვანი პროგრამა

1. ძირითადი სწავლის სფეროს კურსები: 195 კრედიტი, მათ შორის 13 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებისთვის.
2. თავისუფალი არჩევითი კურსები: 45 კრედიტი - თავისუფალი სავალდებულო კრედიტები - 22, თავისუფალი არჩევითი კრედიტები - 23.

სასწავლო გეგმა აქტიურად მოიცავს ავიაციის და მეტეოროლოგიის სფეროების თანამედროვე მიღწევებს. მისი შინაარსი ასახავს ფრენის რისკის შეფასების, ნავიგაციის სისტემის მართვის და არანორმალურ პირობებში საჰაერო ხომალდების კონტროლის თანამედროვე სტანდარტებს.

პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად არის განაწილებული და უზრუნველყოფს შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. სტრუქტურა და შინაარსი ასევე უზრუნველყოფს პროგრამების ინდივიდუალურობას. ისინი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ინტერვიუების და შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ტექნოლოგიური მიღწევების, საკანონმდებლო ცვლილებების და ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე რეგულარულად ხორციელდება სასწავლო გეგმის განახლება. შედეგად, კურსდამთავრებულები იძენენ არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია საავიაციო ოპერაციებთან და შრომის ბაზრის საჭიროებებთან.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- ინტერვიუების შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები:</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>
<p>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>
<p>პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>

**შეფასება**

<p><b>კომპონენტი</b> <u>1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u></p>	<p><b>შეფასება</b></p>
<p>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) -</p>	<p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სასწავლო კურსის / საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით / საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის / საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერული შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები სრულად შეესაბამება ბაკალავრიატის მოთხოვნებს და სწავლის შედეგებს. კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამების სწავლის შედეგებთან, ხოლო კურსების შინაარსი შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს.

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) საბაკალავრო პროგრამების ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები, მათი შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას. ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ერთობლიობაში უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სასწავლო ლიტერატურის გაუმჯობესების პოტენციალი (იხილეთ კომპონენტი 2.3), შეიძლება ითქვას, რომ პრინციპში თითოეულ სასწავლო კურსში მითითებული ლიტერატურა ხელს უწყობს დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას. უნდა

აღინიშნოს რომ, ლიტერატურა შემუშავებულია და სერტიფიცირებულია ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მიერ. დარგობრივი კომპეტენციები განმტკიცებულია საჰაერო ხომალდების და ფრენის სიმულატორებით უზრუნველყოფილი პრაქტიკული სწავლებით. პრაქტიკული საფრენოსნო სწავლება ტარდება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თელავის ბაზაზე, როგორც ერთმრავიანი, ისე მრავალმრავიანი საჰაერო ხომალდების გამოყენებით, მათ შორისაა Tecnam P2008JC, Tecnam. P - Mentor და Tecnam P2006T.

ფასდება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები. სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები შეესაბამება კურსის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები:</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>
<p>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>
<p>პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>

საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	-	
--	---	--

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი <b>1.5. სასწავლო კურსი/საგანი</b>	შეფასება
პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება - სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის

განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ - ს / ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის / შემოქმედებითი კვლევის თეზისს / პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი / პუბლიკაცია ან / და სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან / და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ - ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### **კლასტერული შეფასება**

#### **აღწერა და ანალიზი**

საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭება პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს ან მის ეკვივალენტს და რომელმაც საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სწავლის უფლება

მოიპოვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/5 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების წესის შესაბამისად.

აპლიკანტების მხარდაჭერის და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა დაშვებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის და განსაზღვრული ვადების შესაბამისად, კერძოდ გამოცდების გარეშე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტი;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტი და ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ცხოვრებდნენ უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც / სწავლობდნენ და მოიპოვეს კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში, აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადების შესაბამისად ცხოვრობენ / ცხოვრობდნენ, სწავლობენ / სწავლობდნენ და მოიპოვეს კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში, აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვება ასევე ხორციელდება მობილობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10 / ნ ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას გათვალისწინებული იქნება მოქმედი კანონმდებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული სრულად შეესაბამება სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს, საბაკალავრო დონეს, გამჭვირვალეა და სამართლიანია.

იმ პირებს, რომლებმაც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და მიიღეს ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე

მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოეთხოვებათ განათლების აღიარების დოკუმენტი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„ავიაციის სპეციალისტების სერტიფიცირების წესის“ (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანება) შესაბამისად, კანდიდატი პრაქტიკულ სწავლებაზე ჩარიცხვამდე უნდა ფლობდეს პილოტის პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატს.

დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებ - გვერდის, სოციალური ქსელების და სხვა მედია საშუალებების გამოყენებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე და პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ავიაბაზრის ანალიზის თანახმად, მომდევნო 5 წლის განმავლობაში შრომის ბაზრისთვის უნდა გადამზადდეს სულ მცირე 79 პილოტი, რაც ეფუძნება Boeing Corporation - ის მიერ 2024 - 2043 წლებში ახალი პილოტების მომზადების საჭიროებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები:</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>

პროგრამა 1 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	არ ეხება	არ ეხება
პროგრამა 2 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	არ ეხება	არ ეხება

**შეფასება**

კომპონენტი	შეფასება
<b>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>	
პროგრამა 1 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

---

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო პროგრამები შეესაბამება განათლების შედეგებს, პროგრამის სპეციფიკასა და დონეს. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების ზრდასა და განვითარებას, ასევე სტუდენტების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროფესიული წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამები პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით იყენებენ სინთეზურ მოდელს, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს როგორც დამოუკიდებელ პრაქტიკულ კურსებს, ასევე თეორიულ კურსებში ინტეგრირებულ პრაქტიკულ კომპონენტებს.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამების სპეციფიკიდან გათვალისწინებით, ძირითადი საგანმანათლებლო კურსების კრედიტების თითქმის ნახევარი ეთმობა პრაქტიკული მომზადების კურსებს, როგორცაა „ფრენის პრაქტიკა 1“, „ფრენის პრაქტიკა 2“, „ფრენის პრაქტიკა 3“, „ფრენის პრაქტიკა 4“ და „ფრენის პრაქტიკა 5“.

პრაქტიკის გარდა, სალექციო კურსის შესაბამისად ტარდება პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოებიც, რაც უზრუნველყოფს მასალების სიღრმისეულ შესწავლას.

ფრენის პრაქტიკა პროგრამის ათვისებისთვის აუცილებელია და მოიცავს მიწისზედა მომზადებას, სწრაფ მომზადებას - კაბინურ (სიმულაციურ) წვრთნას, ფრენისწინა მომზადებას და ფრენის შემდგომ ანალიზს.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ყოველკვირეულ რეჟიმში თეორიულ ცოდნასთან ერთად განვიითარონ პრაქტიკული უნარები. გარდა ამისა, სტუდენტებს თეორიული ცოდნის გასაღრმავებლად შესაბამისი სიმულატორები აქვთ. ამრიგად, უნივერსიტეტის სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების განვითარებას.

პროგრამები ხელს უწყობს სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რასაც ადასტურებს სტუდენტების მონაწილეობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ღია საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში 2023-2024-2025 წლებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ტესტირების შედეგები
- ინტერვიუების შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- მემორანდუმები

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ი:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები:</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>
<p>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>
<p>პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია</p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>

(პილოტი) — ინგლისური ვერსია, ბაკალავრიატი)		
--	--	--

## შეფასება

კომპონენტი <u>2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

ძირითადი სფეროს თითოეული საგანმანათლებლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული საგანმანათლებლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო მასალა ეფუძნება სწავლების სფეროში უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამების შესწავლის შედეგებზე გასვლას. კლასტერში „საჰაერო ხომალდის ფრენის ოპერირება (პილოტი) — ქართულ და ინგლისურ ენებზე“ გაერთიანებული საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის დონეს.

თითოეული სასწავლო კურსისათვის სილაბუსის ავტორმა განსაზღვრა კრედიტების შესაბამისი რაოდენობა, კურსის კოდი, სასწავლო წელი და სემესტრი, სასწავლო კურსის ტიპი (ძირითადი, არჩევითი), სწავლების ენა, კურსის წამყვანი პროფესორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, აუდიტორიის ნომერი, დამატებითი კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია, კურსის აღწერა, წინაპირობები, კურსის მიზანი და სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მოთხოვნები. საგანმანათლებლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების მოცულობა შესაბამისობაშია პროგრამების სწავლის შედეგებთან.

აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, სილაბუსში მოცემული სასწავლო მასალები უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო სფეროს უახლეს მიღწევებს. ამის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, რომ კურსის განმახორციელებელმა პერსონალმა მოიძიოს და განაახლოს ძირითადი ლიტერატურა შემდეგ სილაბუსებში: „უმაღლესი მათემატიკა 1 და 2“ — ძირითადი ლიტერატურა №1, №2, №3, №4; „ფიზიკა 1“ — ძირითადი ლიტერატურა №1, №2, №3; ძირითადი მიმართულების არჩევით საგანში „კომპიუტერული გრაფიკა“ — ძირითადი ლიტერატურა №1, №2. ზოგიერთ სილაბუსში არ არის მითითებული გვერდების რაოდენობა, რაც ართულებს სახელმძღვანელოს მოცულობის შესაბამისობის განსაზღვრას სილაბუსით გათვალისწინებულ კრედიტებთან. მსგავსი მაგალითებია: „უმაღლესი მათემატიკა 1“ — ძირითადი ლიტერატურა №2; „უმაღლესი მათემატიკა 2“ — ძირითადი ლიტერატურა №1; „ფიზიკა 2“ — ძირითადი ლიტერატურა (ერთეული წყარო). ზოგიერთ წყაროში გამოცემის წელი და სხვა ბიბლიოგრაფიული მონაცემები სრულად არ არის მითითებული. მაგალითად, სილაბუსში „საჰაერო სამართალი“ — ძირითადი ლიტერატურა; ასევე კურსებში „საჰაერო ხომალდის კონსტრუქცია“, „საჰაერო ხომალდის ფრენის პრინციპები“, „წონა და ბალანსი — ფრენის დაგეგმვა და მონიტორინგი“, „ადამიანის შესაძლებლობები“, „მექტეოროლოგია“, „ზოგადი ნავიგაცია“ და სხვ., სადაც გამოყენებული ლიტერატურის ნაწილი გამოცემულია 15–20 წლის წინ. ინტერვიუების

ფარგლებში პროგრამის წამყვანმა სპეციალისტმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ლექციის დასრულების შემდეგ სტუდენტები ელექტრონული ფოსტით იღებენ პრეზენტაციებს (რაც სტუდენტებმაც დაადასტურეს). თუმცა, სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებში მოძველებული სასწავლო მასალების განახლება და სტუდენტებისთვის მათი მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების სასწავლო რესურსები ყველა შემთხვევაში სრულად არ ეფუძნება დარგში მიღწეულ უახლეს შედეგებს / მიგნებებს.

ზემოაღნიშნულის გარდა, პროგრამაში უნდა გამოსწორდეს შემდეგი ტექნიკური უზუსტობები, როგორცაა: „მასალათმცოდნეობის“ კურსის მიღების წინაპირობიდან (კურსი არ ეფუძნება აღნიშნული კურსიდან მიღებული ცოდნის გამოყენებას) ამოღებული იქნეს „მათემატიკა 2“; „მექანიზმებისა და მანქანების თეორიის“ კურსის აღწერილობაში „მანქანური ნაწილების“ კურსის აღწერილობა ჩანაცვლდეს შესასწავლი კურსის აღწერილობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები;
- საბიბლიოთეკო რესურსები
- ინტერვიუების შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ები)ა:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები:</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>	<p><b>არ ეხება</b></p>

პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გადახედვა. უმეტეს შემთხვევებში სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურის სათაურები არ არის სრულად მითითებული.	არ ეხება
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ინგლისური ვერსია, ბაკალავრიატი)	რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გადახედვა. უმეტეს შემთხვევებში სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურის სათაურები არ არის სრულად მითითებული.	არ ეხება

### შეფასება

კომპონენტი <u>2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები</u>	შეფასება
პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ინგლისური ვერსია, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 2.4. სტუდენტის შეფასება

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროგრამა ნამუშევრის, ითვალისწინებს ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელი(ებ);
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### **კლასტერის შეფასება**

#### **კლასტერის აღწერა და ანალიზი**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე „საკაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი)“ სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სანდოობას და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. სტუდენტის შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, კარგად ცნობილი, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების შესაბამისად. იგი ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის მიზნებს და ხორციელდება მკაფიო კრიტერიუმებისა და შეფასების სქემების/რუბრიკების გამოყენებით. სილაბუსების მიმოხილვამ აჩვენა, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან და მორგებულია მისი სპეციფიკის

გათვალისწინებით. ამგვარად, უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტური შეფასება.

პროგრამა იყენებს მრავალკომპონენტურ შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: საშინაო დავალებები, ქვიზები, პროექტები, ანგარიშები, დისკუსიებში მონაწილეობა, წერიტი და ზეპირი გამოცდები, პროექტის შემუშავება და პრეზენტაციები, წერიტი გამოცდები, პრეზენტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ღია და დახურული ტიპის ტესტები, გონებრივი იერიში, შემთხვევის კვლევა (case study) დემონსტრირების მეთოდების გამოყენებით.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და კურსების სილაბუსების შესაბამისად, შეფასების სისტემა ითვალისწინებს დადებითი შეფასების ხუთ ტიპს:

1. A ფრიადი– 91-100 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
2. B ძალიან კარგი- 81-90 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
3. C კარგი- 71-80 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
4. D დამაკმაყოფილებელი- 61-70 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;
5. E საკმარისი - 51-60 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან;

ასევე უარყოფითი შეფასების ორ ტიპს:

1. (FX) ჩაჭრა – მაქსიმალური ქულის 41–50, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად დამატებითი სამუშაო სჭირდება და მას დამოუკიდებელი სწავლების შემდეგ კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა;
2. (F) ჩაჭრა – მაქსიმალური ქულის 40 და ნაკლები, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არასაკმარისია და კურსი ხელახლა უნდა გაიაროს.

პროგრამები იყენებს ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპებს. სტუდენტების სასწავლო პროცესში უწყვეტი ჩართულობისა და როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის ათვისების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შეფასების მეთოდების მრავალფეროვანი სისტემა. სწავლის შედეგების გაზომვის მიზნით ლექტორები იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორცაა:

დისკუსია/დებატები; ჯგუფური (კოლაბორაციული) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევის ანალიზი (case study); ბრენსტორმინგი; როლური თამაში და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიტიკური მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ვერბალური მეთოდი; წერითი დავალებები; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვა. შეფასების ეს მეთოდები იზომება თითოეული კურსის ფარგლებში შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი კურსის სასწავლო გეგმებში.

კურსებზე გამოიყენება როგორც შუალედური, ასევე საბოლოო შეფასებები. კურსის ხელმძღვანელს უფლება აქვს განსაზღვროს საბოლოო გამოცდაზე დაშვებისთვის საჭირო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ზოგიერთ კურსში სავალდებულოა, რომ სტუდენტმა შუალედური შეფასებით დააგროვოს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 35%, რათა მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. საბოლოო გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 51%. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს კონკრეტულ კურსებს, სადაც როგორც შუალედური, ასევე საბოლოო შეფასების მინიმალური ზღვარი 75%-ია. ეს მოთხოვნა რეგულირდება სამოქალაქო ავიაციის საფრენი ეკიპაჟის წევრებისთვის EASA-ს სტანდარტების შესაბამისად (კომპეტენციები განსაზღვრულია „EASA ATPL“ ნომენკლატურით). ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი ამ კრიტერიუმების შესახებ და ლექტორებთან მუდმივი კომუნიკაცია აქვთ. ასევე მოხდა უკუკავშირის მექანიზმების იდენტიფიცირება: როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ კომპონენტებში სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუკავშირის თავიანთ ძლიერ მხარეებსა და გაუმჯობესების საჭირო მიმართულებებზე.

ძირითადი მიმართულების სავალდებულო კურსებში სტუდენტთა გამოცდები ტარდება EASA-ს მიერ ავტორიზებული საგამოცდო ბაზის გამოყენებით, ხოლო საგამოცდო კითხვების მოცულობა და შინაარსი განისაზღვრება სილაბუსებით და შეესაბამება რეგულაცია (EU) №1178/2011-ის მოთხოვნებს. ფრენის პრაქტიკის შეფასება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დამტკიცებული სერტიფიცირების წესების შესაბამისად, რომლებიც სრულად შეესაბამება EASA-ს სტანდარტებსა და ევროპულ რეგულაციებს.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და სამეცნიერო ეთიკის კოდექსი და სტუდენტთა სახელმძღვანელო, რომლებიც არეგულირებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმებსა და მათზე რეაგირების მექანიზმებს. სტუდენტების ნაშრომებს ამოწმებენ ლექტორები და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ტექსტის მსგავსების აღმოჩენის (პლაგიატის) ელექტრონული ინსტრუმენტები. დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება დისციპლინური ზომები, მათ შორის დავალების უარყოფითი შეფასება ან სხვა აკადემიური სანქციები. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის ინსტიტუციურ სისტემას.

უნივერსიტეტი უწყვეტად აანალიზებს სტუდენტთა შეფასების შედეგებს და იყენებს მათ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“ და ინტერვიუების შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულება ამ საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „გამოცდების ჩატარების რეგულაცია“ და „გამოცდების მიმდინარეობისას სტუდენტის ქცევის წესები“. სტუდენტებს უფლება აქვთ მოითხოვონ გამოცდის შედეგების გადახედვა შესაბამისი აკადემიური ერთეულის ხელმძღვანელისთვის 10 დღის ვადაში მიმართვით. ინტერვიუების ფარგლებში სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონიათ მსგავსი გამოცდილება და იცნობენ შეფასების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

შეფასების სისტემის შესახებ ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საბაკალავრო რეგულაციასა და საგამოცდო წესებში. სტუდენტები დავალების შესრულებასთან დაკავშირებით იღებენ მკაფიო ინსტრუქციებს, რაც ზუსტად სტრუქტურირებულ შეფასების სქემებთან/რუბრიკებთან ერთად სტუდენტს უქმნის მკაფიო მოლოდინებს შეფასების კრიტერიუმების შესახებ და ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. ინფორმაცია სტუდენტებისთვის მიეწოდებათ სილაბუსის მეშვეობით, აგრეთვე ლექტორის მიერ. სემესტრის დაწყებამდე დაახლოებით ორკვირიანი პერიოდი უზრუნველყოფს I კურსის სტუდენტების ინფორმირებას და მათთვის პროგრამის შეფასების სისტემის გაცნობას.

უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს „ღია წიგნის“ (open book) მეთოდს ცოდნის შემოწმებისას, რომელიც არ არის ორიენტირებული ფაქტობრივი მონაცემების დამახსოვრების უნარზე, არამედ მიზნად ისახავს ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების შემოწმებასა და განვითარებას.

უნივერსიტეტი გეგმავს შეფასების შედეგების ანალიზს და მიღებული შედეგების გამოყენებას შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები
- შესაბამისი კურსის სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- EASA-ს მიერ ავტორიზებული საგამოცდო სისტემა AVIATION EXAM;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების დებულება
- სტუდენტების ქცევის წესები გამოცდების დროს
- „სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“, საბაკალავრო პროგრამა „საჰაერო ხომალდის ფრენის ოპერირება“
- ინტერვიუების შედეგები

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ები)ა:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები:</p>	<p>არ ეხება</p>	<p>არ ეხება</p>
<p>პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)</p>	<p>არ ეხება</p>	<p>არ ეხება</p>

პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ინგლისური ვერსია, ბაკალავრიატი)	არ ეხება	არ ეხება

### შეფასება

კომპონენტი	შეფასება
<b>2.4. სტუდენტის შეფასება</b>	
პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ინგლისური ვერსია, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ - ებთან,

სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;

- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.
- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებოშემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ- კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### **კლასტერის შეფასება**

#### **კლასტერის აღწერა და ანალიზი**

უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ვებგვერდი) ადასტურებს, რომ სტუდენტები უწყვეტად იღებენ ინფორმაციას აკადემიური დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესახებ. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამის პერსონალი და სტრუქტურული ერთეულები, უზრუნველყოფენ სტუდენტების სათანადო ინფორმირებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული საკონსულტაციო სერვისების შესახებ სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აწყობს ღია კარის შეხვედრებს, სადაც ისინი იღებენ ინფორმაციას აკადემიური დაგეგმვისა და

უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ. ასეთი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ფართოდ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ასევე, დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო, რომელიც ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს. საფეხბურთო ჩემპიონატებს ორგანიზებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობა, ხოლო რაგბისა და ფრენბურთის ჩემპიონატები ჩატარდა სპორტის დეპარტამენტის მიერ. სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით უნივერსიტეტი ასევე ორგანიზებას უწევს ექსკურსიებსა და გასვლით ტურებს (საველე ვიზიტებს). უნივერსიტეტი ასევე მასპინძლობს ინტელექტუალურ კონკურსს „რა? სად? როდის? შესაბამისად, სტუდენტებს საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციის მრავალფეროვანი შესაძლებლობები აქვთ. ეს ასევე დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი რეგულარულად იღებენ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

ამ პროგრამების სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე სხვადასხვა ღონისძიებაში. 2025 წლის 21–28 სექტემბერს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის 14-მა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო პროექტში „SPINAKER – ავიაციის ინჟინერიის საერთაშორისო სკოლა“. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ასევე ადასტურებს, რომ სტუდენტები მონაწილეობდნენ ლიეტუვისა და პოლონეთის უნივერსიტეტების გაცვლით პროგრამებში. თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისად ყოვლისმომცველი ინფორმაცია ამ შესაძლებლობების შესახებ; ამიტომ, სასურველია, რომ დაწესებულებამ იმუშაოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებასა და საერთაშორისო პარტნიორობის შემდგომ გაფართოებაზე.

უნივერსიტეტში რეგულარულად იმართება სამეცნიერო კონფერენციები, რასაც ვებგვერდზე არსებული ინფორმაციაც ადასტურებს. დაწესებულებამ ასევე წარადგინა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის რეფერატები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში.

როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, უნივერსიტეტი მუდმივად სთავაზობს სხვადასხვა დასაქმების შესაძლებლობას. იმართება დასაქმების ფორუმები, რომლებშიც მონაწილეობენ ისეთი კომპანიები, როგორცაა: Georgian Airways; Geosky Easy Charter; Myway Airlines; სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“; საქაერონავიგაცია; LASARE. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტისგან რეგულარულად იღებენ შეტყობინებებს ელექტრონული ფოსტით, სასწავლო მართვის პლატფორმის (LMS) მეშვეობით და მობილური შეტყობინებების საშუალებით. უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამის წარმატებას.

უნივერსიტეტის ვებგვერდი, წარდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტებს კონსულტაციებს უწევს სასწავლო პროცესისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კონფერენციის მასალები
- ფრენის / საფრენი მომზადების ფაკულტეტის შრომის ბაზრის კვლევა
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის სტატისტიკა
- სტუდენტური დასაქმების ფორუმები
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუების შედეგები

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ი:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)</p>
---	---	---

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები:	არ ეხება	სასურველია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს ახალი გაცვლითი პროგრამების გამოვლენას და აღნიშნულ პროგრამებში გააძლიეროს სტუდენტების ჩართულობა.
პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	არ ეხება	არ ეხება
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	არ ეხება	არ ეხება

### შეფასება

კომპონენტი <u>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები</u>	შეფასება
პროგრამა 1 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ქართული ვერსია, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საჰაერო ხომალდის ფრენის ექსპლუატაცია (პილოტი) — ინგლისური ვერსია, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის,

სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით; ჩართულობას • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი

დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;

- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**კლასტერის შეფასება**

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

<b>მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)<sup>2</sup></b>	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	

<sup>2</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	<b>რეკომენდაციები:</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	<b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
<b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები:</b>		
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)		
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)		

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

<b>კომპონენტი</b>	<b>შეფასება</b>
-------------------	-----------------

<b>3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b>	
<b>პროგრამა 1 (დასახელება, დონე)</b>	აირჩიეთ შესაბამისი
<b>პროგრამა 2 (დასახელება, დონე)</b>	აირჩიეთ შესაბამისი

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;
- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;

- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

მთელი კლასტერის მასშტაბით შეიძლება ითქვას, რომ კლასტერის პროგრამებში ჩართული პერსონალი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და აუცილებელი კომპეტენციების მქონე პირებით და მათ გააჩნიათ პოტენციალი, ხელი შეუწყონ სტუდენტებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში. კლასტერში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციებით.

ეს დადასტურდა როგორც მოწოდებული დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუების დროს. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის მართვის პრინციპებს და ასევე ნათლად მიუთითებს მოწვეული პერსონალის შერჩევაზე და დაქირავებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე, რაც ხორციელდება ღია კონკურსის გზით, კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით.

პროგრამები ხორციელდება ავიაციის სფეროში პრაქტიკოსი პროფესიონალების მიერ, რომლებიც ამავდროულად აქტიურად საქმიანობენ შესაბამის პროფესიულ მიმართულებებში. მათ შორის არიან პილოტები, საჰაერო მოძრაობის დისპეტჩერები, რადარის სისტემის ტექნიკოსები, თვითმფრინავების ტექნიკოსები და სხვა. ისინი კარგად ფლობენ ინგლისურ ენას.

